განკარგულება:**გ-47. 47252104**
თარიღი:**29/07/2025**

განკარგულება N25

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხა (დანართი თან ერთვის).
2. სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე მათი მესაკუთრის ან მფლობელის თანხმობის შემთხვევაში.
3. სააგიტაციო მასალის განთავსება აიკრძალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა- ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 აგვისტოს N42 განკარგულება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“.

5. დაევალოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს სააგიტაციო მასალის განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია გამოაქვეყნოს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდზე.
6. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ჭავჭავაძის ქუჩა N4-ში.

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი